სტუდენტური ფურცელი

tsu.media

ჯაბა სამუშია სტუდენტებთან შეხვედრებს გააგრძელებს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებს შეხვდა და ფაკულტეტზე არსებული გამოწვევების შესახებ ინფორმაცია უშუალოდ მათგან მოისმინა.

შეხვედრაზე თსუ-ს რექტორმა ვრცლად ისაუბრა უნივერსიტეტში არსებულ მდგომარეობასა და სამომავლო გეგმებზე. მისი თქმით, უახლოეს მომავალში განხორციელდება ინფრასტრუქტურული პროექტები, აუდიტორიები აღიჭურვება უახლესი კომპიუტერული ტექნიკით, გარემონტდება თსუ-ს მე-10 სასწავლო კორპუსის რამდენიმე სართული.

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ყველგან უნდა გრძნობდეთ უნივერსიტეტის მხარდაჭერას. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ თსუ თქვენი მხარდამჭერი და ძლიერი ზურგია სწავლაში, კვლევაში, საქართველოსა თუ უცხოეთში ყოფნისას“, — განაცხადა თსუ-ს რექტორმა ჯაბა სამუშიამ სტუდენტებთან შეხვედრისას, რომელსაც ფაკულტეტის დეკანი გიორგი ღაღანიძე, პროფესორები და ადმინისტრაციის თანამშრომლებიც ესწრებოდნენ.

ჯაბა სამუშიამ სტუდენტებს მოუწოდა მეტად ჩაერთონ სტუდენტურ აქტივობებში. მისი თქმით, უახლოეს

მომავალში გამოცხადდება სახელმძღვანელოების პროექტი. კერძოდ, გამოიცემა თსუ-ს პროფესორების მიერ დაწერილი ან თარგმნილი თანამედროვე სახელმძღვანელოები. ამასთან, სრულად გაციფრულდება სახელმძღვანელოები.

თსუ-ს რექტორის ინფორმაციით, სტუდენტებს ექნებათ სტუდენტური ბარათები, რომელსაც მიებმება ძალიან ბევრი სერვისი. ამ სერვისებით თსუ-ს სტუდენტები მნიშვნელოვანი ფასდაკლებით ისარგებლებენ. ასევე, თსუ-ს სასწავლო კორპუსებში გაიხსნება უცხო ენების შემსწავლელი ცენტრები, რომელშიც სტუდენტები თანამედროვე, წარმატებული მეთოდებით შეისწავლიან უცხო ენებს. ამ მხრივ საინტერესო იქნება საზაფხულო ან ზამთრის ბანაკები, სადაც სტუდენტები უცხოელ სპეციალისტებთან ერთად გაიღრმავებენ ენის კომპეტენციებს. ეს ყველაფერი კი დაეხმარება სტუდენტებს ევროკავშირის პროგრამა „ერასმუს პლუსის“ მობილობის პროგრამით სარგებლობაში და ევროპულ უნივერსიტეტებში სწავლაში.

შეხვედრის ბოლოს თსუ-ს რექტორმა ჯაბა სამუშიამ მოისმინა სტუდენტების მოსაზრებები სხვადასხვა პრობლემურ საკითხზე. მათ შორის, კვების ობიექტების, აუდიტორიების მდგომარეობის, ბლუმბერგის ლაბორატორიაში არსებული ტექნიკური პრობლემების შესახებ და სხვა. თსუ-ს რექტორმა სტუდენტებს შესთავაზა ჩაერთონ საუნივერსიტეტო პრობლემების მოსაგვარებელ სატენდერო კომისიების მუშაობაში, რათა, ერთის მხრივ, პროფილის მიხედვით მიიღონ შესაბამისი პრაქტიკა და, ამავე დროს, მეტი გამჭვირვალეობა შესძინონ სატენდერო პროცესებს.

საზოგადოებასთან
ურთიერთობის დეპარტამენტი

სტუდენტი გიორგი ჯიჯიეშვილი სწავლას იუტას უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამაზე გააგრძელებს

თამარ დადიანი

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი – საქართველოს კუსდამთავრებული გიორგი ჯიჯიეშვილი სწავლას იუტას უნივერსიტეტის (ამერიკის შეერთებული შტატები, სოლტლეიკ სიტი) სადოქტორო პროგრამაზე – ანალიზური ქიმიის დეპარტამენტში გააგრძელებს. სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი – საქართველოს 2015 წლიდან თსუ-სთან პარტნიორობით ახორციელებს საბაკალავრო პროგრამებს და სწორედ ერთ-ერთი პროგრამის კურსდამთავრებული გახლავთ გიორგი ჯიჯიეშვილი.

იუტას უნივერსიტეტი – UOU ერთ-ერთი მოწინავე უნივერსიტეტია მსოფლიოში, რომელიც ორიენტირებულია მეცნიერების, ინჟინერიის, სოფლის მეურნეობის, სამხედრო მეცნიერების და ა.შ. განვითარებაზე.

გიორგიმ მოწვევა საზღვარგარეთის რამდენიმე უნივერსიტეტისგან მიიღო, მაგრამ არჩევანი იუტას უნივერსიტეტზე შეაჩერა, რადგან თვლის, რომ ქიმიას, როგორც მეცნიერებას, ყველაზე უკეთ იქ შეისწავლის.

„თბილისის N 165-ე საჯარო სკოლა წარმატებით, ოქროს მედალზე დავამთავრე. სკოლის პერიოდში, როდესაც საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შესწავლა დავიწყე, ძალიან დამაინტერესა ტექნიკურმა საგნებმა: ფიზიკამ, ქიმიამ... აბიტურიენტობის დროს გავიგე სან დიეგოს უნივერსიტეტის შესახებ, რომელიც აქ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე, გვაძლევდა ამერიკული განათლების მიღების შესაძლებლობას. გადავწყვიტე ხელიდან არ გამეშვა ეს შანსი და აქ მიმეღო ამერიკული განათლება. სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი (SDSU) – საქართველო ქართველ სტუდენტებს გვთავაზობდა მაღალი ხარისხის და საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე საბაკალავრო პროგრამებს STEM დარგებში. ასე გავხდი სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის სტუდენტი სრული დაფინანსებით. 2021 წელს თსუ-ს და სან დიეგოს უნივერსიტეტის პროგრამით ამერიკაში ვიყავი სასწავლებლად 1 წლით. მიმდინარე წელს ბაკალავრიატს ვამთავრებ და სწავლას ამერიკაში, იუტას უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამაზე ვაგრძელებ, ანალიზური ქიმიის დეპარტამენტში“, – აცხადებს გიორგი ჯიჯიეშვილი, რომელიც თვლის, რომ

> გიორგიმ მოწვევა საზღვარგარეთის რამდენიმე უნივერსიტეტისგან მიიღო, მაგრამ არჩევანი იუტას უნივერსიტეტზე შეაჩერა, რადგან თვლის, რომ ქიმიას, როგორც მეცნიერებას, ყველაზე უკეთ იქ შეისწავლის.

დასახული მიზნების მისაღწევად დიდი შრომა და მონდომებაა საჭირო. „დღეისთვის რა მიზანიც დავისახე, ყველაფრის შესრულება მოვახერხე და მოტივაციაც სწორედ სამომავლო მიზნების მიღწევაა. ვცდილობ მაქსიმალურად გამოვიყენო ყველა შესაძლებლობა, რომელიც მეძლევა და ნებისმიერი სირთულე, რომელიც თან სდევს ამ ყველაფერს, ღირს იმ შედეგად, რასაც მომავალში მივაღწევ. საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ უნივერსიტეტში ვისწავლე, რაც ძალიან დამეხმარა კიდევ უფრო ძლიერი უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამაზე ჩავრიცხულიყავი. სამომავლოდ უფრო მეტ შესაძლებლობას ველი...“ – ამბობს გიორგი, რომელიც თავის გამოცდილებას გვიზიარებს ამერიკულ უნივერსიტეტებში მოხვედრასთან დაკავშირებით.

„ამერიკული უნივერსიტეტები სადოქტორო პროგრამაზე გამოცდების ჩაბარებას არ ითხოვენ, შესაბამისად, აუცილებელია სტუდენტებმა ყურადღება მიაქციონ ნიშნებს. ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი, რითიც ფასდება კანდიდატი, არის სწორედ GPA. ძალიან რთულია კარგ უნივერსიტეტში დაბალი ქულებით მოხვედრა. გარდა ამისა, სტუდენტები, რომლებიც სამეცნიერო მიმართულებით აპირებენ კარიერის გაგრძელებას, უნდა იყვნენ ჩართულნი სამეცნიერო კვლევებში. მაგალითად, თსუ-ს ქიმიის ფაკულტეტზე არის ასეთი ჯგუფები და იქ შესაძლებელია დიდი პრაქტიკული ცოდნის მიღება. უცხოურ უნივერსიტეტებში დიდი პლიუსია ასეთი გამოცდილება“, – აცხადებს გიორგი, რომელიც თვლის, რომ საქართველოშიც შეიძლება მაღალი დონის პრაქტიკული და თეორიული ცოდნის მიღება.

„პანდემიის დროს მუშაობა ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროში დავიწყე. ძალიან დიდი გამოცდილება მომცა ამ სფეროში მუშაობამ და სწორედ მაშინ გადავწყვიტე, რომ სწავლა ანალიზური ქიმიის კუთხით გამეგრძელებინა. ამერიკაში სასწავლო გაცვლითი პროგრამის დროსაც ვმუშაობდი კვლევით ლაბორატორიებში. ეს ბოლო პერიოდია, სწავლას უფრო მეტ დროს ვუთმობ. ამ ეტაპზე ვიცი, რომ უცხოეთში სასწავლებლად მივდივარ და მომდევნო რამდენიმე წელი იქ მომიწევს ყოფნა. თუმცა ჩემი გეგმები საბოლოოდ საქართველოს უკავშირდება, აქ ვაპირებ დაბრუნებას და საქმიანობას“, – აცხადებს გიორგი, რომელიც ამერიკაში მიღებულ ცოდნას, მისივე სურვილით, საქართველოში გამოიყენებს.

თსუ-ს სტუდენტმა გიორგი ბოკერიამ, როგორც მონაწილემ, სტრადინსის უნივერსიტეტში გამართულ მასშტაბურ სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენციაში უმაღლესი შეფასება მიიღო

თამარ დადიანი

თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტმა გიორგი ბოკერიამ მონაწილეობა მიიღო ქალაქ რიგის (ლატვია) სტრადინსის უნივერსიტეტში გამართულ მასშტაბურ სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენციაში – „ჯანდაცვა და სოციალური მეცნიერებები“ – 2023. აღნიშნული კონფერენცია ყოველწლიურად ტარდება ევროკავშირის მხარდაჭერით და მასში მონაწილეობას იღებენ სტუდენტები მთელი მსოფლიოდან.

საერთაშორისო სტუდენტური კონფერენცია 10-მდე ქვეყნის (ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, პოლონეთი, რუმინეთი, ლიტვა, ესტონეთი, უკრაინა და საქართველო) სტუდენტებს აერთიანებდა. კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ ლატვიის ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროები.

„სამეცნიერო და აკადემიური აქტივობა ჩემი კარიერის განუყოფელი ნაწილია, ამიტომ სულ ვცდილობ – მაქსიმალურად ვიყო ჩართული კვლევებში, კონფერენციებში, კონკურსებში. მრავალი საერთაშორისო სტუდენტური კონფერენციის აქტიური მონაწილე და გამარჯვებული ვარ. რიგაში გამართულ საერთაშორისო სტუდენტურ კონფერენციაზე მოხვედრა ჩემი დიდი სურვილი იყო. ამ კონფერენციაში მონაწილეობა უკვე მეორედ მივიღე. პირველად, კოვიდ პანდემიის გამო, კონფერენციას მხოლოდ ონლაინ ვესწრებოდი. ამ პერიოდში მქონდა მხოლოდ ონლაინ გამოსვლები და აქტივობები დიდ ბრიტანეთში, ესტონეთსა და საქართველოში. კოვიდ პანდემიის დასრულების შემდეგ კი ეს ჩემი პირველი ვიზიტი იყო ევროპაში.

ჩემმა სამეცნიერო აბსტრაქტმა, რომელიც კარდიოქირურგიის დარგიდან იყო, ორ ეტაპიანი შერჩევის რგოლი წარმატებით გაიარა. საბოლოოდ კი, კონფერენციის აქტიურ მონაწილედ მიმიღეს და ამით, კონფერენციაზე, პრეზენტაციის გაკეთების საშუალება მომცეს. დავუკავშირდი ჩვენი ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს, ქალბატონ მაია ბიწკინაშვილს, რომლის რჩევითა და ინსტრუქციით, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის სახელით, მოვამზადე პროექტი, განცხადება და სხვა დოკუმენტაცია. შედეგად, ჩვენმა უნივერსიტეტმა სრულად დამიფინანსა რიგაში ვიზიტის ხარჯები, რაც ჩემთვის დიდი პატივია. კიდევ ერთხელ მინდა გაზეთის საშუალებით ჩემს ფაკულტეტსა და თსუ-ს ადმინისტრაციას მადლობა გადავუხადო“, – აღნიშნა გიორგი ბოკერიამ.

გიორგი ბოკერიამ კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენების შესახებაც ისაუბრა: „ჩემი საკონფერენციო თემა აორტის ჰიბრიდულ ქირურგიულ მკურნალობას შეეხებოდა, რაც დღესდღეობით საკმაოდ აქტუალური საკითხია. აორტა გულის მთავარი სისხლძარღვია, მისი დაავადებებიდან კი დისექცია ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადებაა. ზოგადად, სტანდარტული ოპერაციები აორტის გარკვეული ნაწილის გამოცვლის დროს საათობით გულის გაჩერებას ითხოვს, რაც პოსტოპერაციულ გართულებებთან და შედარებით ხანგრძლივ გამოჯანმრთელების პერიოდთან არის დაკავშირებული.

ჰიბრიდული მიდგომის დროს კი კარდიოქირურგი და ენდოვასკულარული (სისხლძარღვთა) ქირურგი ერთად მუშაობენ ე.წ: „Debranching + TEVAR“ მეთოდით, რაც გულისხმობს აორტის დაუზიანებელ ნაწილზე მისგან გამომავალი ტოტების მიკერებას (ე.წ. შუნტები) და, ამავდროულად, აორტის დაზიანებულ ნაწილში სტენტგრაფტის ჩაყენებას კათეტერულად. ოპერაცია საშუალოდ 2 სთ-მდე გრძელდება.

აღნიშნულ მეთოდზე მოკვლევა 3 წლის

წინ დავიწყე მედიცინის დოქტორის, კარდიოქირურგის ზაზა კაციტაძისა და სისხლძარღვთა ქირურგის, მედიცინის დოქტორის ვახტანგ ყიფიანის დახმარებით. კონფერენციაზეც სწორედ ამ თემის შესახებ ვისაუბრე, ოღონდ უფრო გაფართოებული ასპექტებით. ასევე წარვადგინე აკადემიკოს ნ. ბოხუას კარდიოვასკულარული კლინიკის ბაზიდან აღებული 2 ქეისიც“, – განაცხადა გიორგი ბოკერიამ, რომელმაც კონფერენციის ჟიურის მხრიდან დიდი მოწონება და უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. „გულწრფელად რომ გითხრათ, არ ველოდი ასეთ შეფასებას, ერთადერთი ვიყავი საქართველოდან, ვინც მედიცინის დარგში წაიკითხა მოხსენება თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის სახელით. ეს კი დიდი პასუხისმგებლობის წინაშე მაყენებდა. ჟიურის წევრები მოწვეული იყვნენ ბირმინგემიდან, ლიტვიდან, ლონდონიდან... კონფერენციის მედიცინის ნაწილი 20-მდე სექტორისგან შედგებოდა და მათ შორის იყო ქირურგია. სწორედ ამ სექციაში მიიღო ჩემმა ნაშრომმა უმაღლესი შეფასება“, – აღნიშნა გიორგი ბოკერიამ, რომელიც მიუხედავად ასეთი მაღალი შეფასებისა, საბოლოოდ, ფინალურ საპრიზო კატეგორიაში მაინც ვერ მოხვდა. იქ ნეირომეცნიერებებზე და ონკოლოგიაზე წარმოდგენილმა მოხსენებებმა დაიკავეს საპრიზო ადგილები. მიუხედავად ამისა, გიორგი თავისი მონაწილეობით მაინც კმაყოფილია, რადგან გამოცდილება მიიღო და ახალი მეგობრები და კოლეგები შეიძინა, საინტერესო სამუშაო შეხვედრებისა და ტურების მონაწილე გახდა. აქვე შეხვდა ევროპის ჯანდაცვის ასოციაციის ექს-პრეზიდენტს, ვინც დიდი გავლენა მოახდინა ახალგაზრდა კარდიოქირურგის სამომავლო გეგმებზე.

ამ კონფერენციის ელჩი ვიქნები საქართველოში

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ ბევრს ვესაუბრებოდი კონფერენციის მონაწილეებს, მინდოდა დაინტერესებულიყვნენ ჩვენი უნივერსიტეტით, ქვეყნის ისტორიით, კულტურითა და სხვა საკითხებით. სამომავლოდ, თსუ-სა და სტრადინსის უნივერსიტეტს შორის შეიძლება საგანმანათლებლო კოლაბორაცია ჩამოყალიბდეს. რიგის უნივერსიტეტის გადაწყვეტილებით, აღნიშნული კონფერენციის ელჩი ვიქნები საქართველოში, რითაც სამომავლოდ ამ აქტივობის პოპულარიზაცია მევალება ქართველ სტუდენტებში და მათი ჩართვა აღნიშნულ პროექტში, რათა მეტმა ქართველმა ახალგაზრდამ შეძლოს ასეთ მასშტაბურ საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის მიღება“, – განაცხადა გიორგი ბოკერიამ.

„მაქსიმალური სვლით წინ“ – აცხადებს გიორგი, რომელიც სულ მალე უნივერსიტეტს ამთავრებს და დიდ ბრიტანეთში, ჯანდაცვის სფეროში, მაგისტრატურის სტიპენდიის მოსაპოვებლად ემზადება...

თსუ-ს ნორჩ ჰუმანიტართა სკოლის მოსწავლეები ლექციის მოსმენის შემდეგ ბალეტს დაესწრნენ

დავით მაზიაშვილი

ნატო ობოლაძე

თსუ-ს ნორჩ ჰუმანიტართა სკოლის მოსწავლეები მარიამ ალექსიძის თანამედროვე ბალეტს „დოვინ-დოვენ-დოვლი...“ დაესწრნენ. ბალეტს გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის მიხედვით გიორგი ალექსიძის სახელობის „თბილისის თანამედროვე ბალეტის“ დასი ასრულებს.

ნორჩ ჰუმანიტართა სკოლის მოსწავლეები თანამედროვე ბალეტის წარმოდგენაზე თსუ-ს ასოცირებულმა პროფესორმა დავით მაზიაშვილმა ლექციის წაკითხვის შემდეგ მიიწვია.

„როდესაც ნორჩ ჰუმანიტართა სკოლაში ლექციების წაკითხვას მთავაზობენ, ყოველთვის სიამოვნებით ვთანხმდები, რადგან სკოლის მოსწავლეებმა ბავშვობიდანვე უნდა დაინახონ ჰუმანიტარული მეცნიერებების პრაქტიკული მნიშვნელობა – როგორ შეიძლება მისი ასახვა თანამედროვე ხელოვნებაში... წელს სალექციო თემად მსოფლიო კლასიკური ლიტერატურა და თბილისის თანამედროვე ბალეტი ავირჩიე, რადგან მინდოდა მოსწავლეებისთვის მეჩვენებინა – თუ როგორ არის კლასიკური ლიტერატურა ასახული თეატრალურ სამყაროში და რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს ამ ყველაფერს თანამედროვე ხელოვნებასთან. მარიამ ალექსიძის თანამედროვე ბალეტის ნახვა მათ დაეხმარებათ, დაინახონ – თუ როგორ შეიძლება სკოლამ მიიყვანოს ბავშვები თეატრში, თეატრმა ლიტერატურაში და ლიტერატურამ უნივერსიტეტში. სწორედ ეს მნიშვნელოვანი სამკუთხედი – განათლება, მეცნიერება და ხელოვნება იყო კონცენტრირებული ჩემს ლექციაში, ბოლოს კი ყველაფერი თავად ნახეს სცენაზე“, – განმარტა დავით მაზიაშვილმა.

ლექციისა და ბალეტის შესახებ შთაბეჭდილებებზე მოსწავლეებიც გვესაუბრნენ: „ნორჩ ჰუმანიტართა სკოლაში კლასგარეშე აქტივობებში ჩართვის მიზნით დავინტერესდი, მინდოდა ახალი ცოდნის მიღება. ბევრ საინტერესო სიახლეს ვიგებთ. მომწონს ბალეტი და ის, თუ როგორ განგვიმარტა ყველაფერი ლექტორმა – ჯერ ნაწარმოებებზე გვესაუბრა, შემდეგ კი თანამედროვე ბალეტის მაგალითზე აგვიხსნა“, – გვითხრა ელენე მაზიაშვილმა.

„ბევრი რამ გავიგე თეატრსა და ბალეტზე, ისიც, თუ ვინ განავითარა ამერიკაში ბალეტი, თუ რას ნიშნავს თეატრის კულტურა. ბევრი საინტერესო რამ აღმოვაჩინე“, – გვითხრა თეკლე მიქელაშვილმა.

თსუ-ს ნორჩ ჰუმანიტართა სკოლა სტანდარტული სალექციო კურსების გარდა საზაფხულო და ზამთრის სკოლებსაც უწევს ორგანიზებას, თუმცა სკოლის ორგანიზატორი, ფილოლოგიის დოქტორი ნინო პოპიაშვილი მიიჩნევს, რომ, მოსწავლეების მხრიდან თეატრის მიმართ გამოჩენილი დიდი ინტერესის გათვალისწინებით, სალექციო კურსების გამრავალფეროვნებაც იგეგმება.

„ვფიქრობთ, რომ ფორმატი შევცვალოთ და უფრო მეტად მრავალფეროვანი გავხადოთ ნორჩ ჰუმანიტართა სკოლა. არასტანდარტულმა სასწავლო მეთოდმა მოსწავლეების დიდი დაინტერესება გამოიწვია, შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ ახალი თაობისთვის მსგავსი ფორმატით სწავლება ბევრად ეფექტიანი იქნება“, – აღნიშნა ნინო პოპიაშვილმა.

ნინო პოპიაშვილი

ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲗᲔᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲗᲘᲡᲣ-Ს ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲡ, ᲛᲐᲒᲓᲐ ᲡᲐᲠᲯᲕᲔᲚᲐᲫᲔᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲛᲝᲣᲢᲐᲜᲐ

,,ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ – ᲠᲝᲛ ᲛᲔᲯᲕᲚᲘᲐ ᲔᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲜ ᲨᲔᲛᲔᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲜᲐ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲗᲔᲛᲐ ᲝᲓᲔᲡᲛᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲙᲕᲚᲘᲝᲜ ᲓᲐ ᲔᲪᲐᲓᲝᲜ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲐᲦᲛᲝᲤᲮᲕᲠᲐᲜ", – ᲐᲡᲔ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲐᲕᲡ ᲛᲐᲒᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲡ.

მაგდა სარჯველაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სწავლობს. ის მეორეკურსელია და მისი ძირითადი სპეციალობაა სოციოლოგია.

მაგდა ჩვენთან საუბარს იმ მიმართულების შესახებ იწყებს, რომელიც მისი მტკიცე არჩევანია. როგორც მან აღნიშნა, სოციოლოგები არიან ის სპეციალისტები, რომელთა საქმიანობა მთლიანად ეფუძნება კვლევებსა და სტატისტიკას, რაც ყოველთვის იყო მისი ინტერესის სფერო და სწორედ ამიტომ გადაწყვიტა გაჰყოლოდა ამ საქმეს.

„სოციოლოგები არასდროს არიან აქტორები, ისინი გარედან აკვირდებიან სიტუაციებს და იკვლევენ ძირითად ტენდენციებს", – ასე ახასიათებს არჩეულ პროფესიას მაგდა.

სწორედ კვლევებისა და საკვლევი საკითხების მიმართ ინტერესმა მიიყვანა იგი სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებამდე და გადააწყვეტინა მონაწილეობა მიეღო სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ ორგანიზებულ 82-ე საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციაში მეგობართან, არჩილ წივილაშვილთან ერთად.

„სტატუსშეჩერებული სტუდენტების სწავლის მიტოვების (drop out) მიზეზების კვლევა თბილისის 4 სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე", – ეს არის თემა, რომლის კვლევამაც მაგდას გამარჯვება მოუტანა.

ეს საკითხი ყველა დროში აქტუალური და პრობლემატურია, ჩვენი რესპონდენტის გარემოცვაშიც ბევრი ისეთი ახალგაზრდა აღმოჩნდა, რომელთა მაგალითიც მაგდას ამ საკითხისადმი კვლევის ინტერესს კიდევ უფრო უღვივებდა.

„საინტერესო იქნებოდა – რომ მეკვლია ეს საკითხი და თან შემეხსენებინა უნივერსიტეტებისთვისა და სახელმწიფოსთვისაც, რომ ეს თემა ოდესმე უნდა იკვლიონ და ეცადონ პრობლემა აღმოფხვრან", – ასე განმარტავს მაგდა თავის არჩევანს.

კვლევა, როგორც აღვნიშნეთ, მოიცავდა ოთხ უმაღლეს სასწავლებელს (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი). სახელმწიფო უნივერსიტეტებზე ყურადღების შეჩერებას მაგდა ასე ასაბუთებს: ეს პრობლემა ყველაზე მეტად მაინც სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტებს ეხებათ, რადგან კერძო უნივერსიტეტებში ჩარიცხულ სტუდენტებს იშვიათად ექმნებათ მდგომარეობა, როდესაც სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო უჩერდებათ სტუდენტის სტატუსი. მაგდას სურს, რომ ამ თემასთან დაკავშირებული სირთულეების მოგვარება ეტაპობრივად დაიწყოს და ახალგაზრდები, რომელთაც ნამდვილად უნდათ განათლების მიღება, უსახსრობის გამო არ რჩებოდნენ უნივერსიტეტს მიღმა.

კვლევა ოთხი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა და უნივერსიტეტებში საკმაოდ დატვირთულ პერიოდს დაემთხვა – სტუდენტებს ყველა იმ საკითხზე მუშაობა, რომელიც საკონფერენციო თემის მოსამზადებლადაა საჭირო (ინტერვიუები რესპონდენტებთან, თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევების ჩატარება, პრეზენტაციის გაკეთება), შუალედური გამოცდების პარალელურად უწევდათ, თუმცა შრომა დაფასდა და გამარჯვებით დაგვირგვინდა. „უდიდესი მნიშვნელობისაა მსგავსი პროექტები სტუდენტების განვითარებისთვის, რადგან თუ ხარ აქტიური სტუდენტი, ცდილობ, განავითარო საკუთარი თავი და, ინტერესების დაკმაყოფილებასთან ერთად, ფიქრობ იმაზე, რომ შენს დოსიეში აღინიშნებოდეს შენი მონაწილეობა მსგავს პროექტებში, რაც, ვფიქრობ, მომავალში ნაკლები კითხვის ნიშანს გააჩენს ჩემი, როგორც კადრის მიმართ და არ გამიჭირდება სამსახურის შოვნაც",- აღნიშნა მაგდამ.

მაგდა კონფერენციაში მონაწილეობის მრავალი დადებითი ფაქტორიდან გამოყოფს კომუნიკაციის გაღრმავებას სტუდენტებთან და სტიპენდიას, რომლის მიღებაშიც სწორედ ამ კონფერენციაზე გამარჯვებამ ითამაშა დიდი როლი.

საკუთარ წარმატებაზე საუბრისას მაგდა განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას უნივერსიტეტის მხრიდან ხელშეწყობაზე: „ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოს, სადაც ხარ. ჩემი სოციუმი დატვირთულია ადამიანებით, ვისაც უყვარს შრომა და აქტიური ცხოვრება. მე, პირადად, ვერაფერს ვხედავ ისეთს, რაც მაკლია თსუ-საგან, სწორედ ამიტომაც ჩავატარე კვლევა ამ მიმართულებით, რომ ამ საკითხს მიექცეს ყურადღება, არა მხოლოდ ჩვენს უნივერსიტეტში, არამედ, ზოგადად, სახელმწიფო უნივერსიტეტებში", – ამბობს იგი.

მაგდა განსაკუთრებული სიყვარულით გვესაუბრება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შესახებ და ბედნიერია, რომ ფაკულტეტის დეკანი არის სალომე დუნდუა. მისი აზრით, დეკანი ძალიან დიდ ყურადღებას აქცევს სტუდენტებს და ფაკულტეტის განვითარებას, ამიტომ თავს გრძნობს როგორც უსაფრთხო ჭერქვეშ: „სასიხარულოა, რომ ჩვენი ფაკულტეტი ერთ-ერთი ყველაზე „ცოცხალი" და აქტიურია. ძალიან მომწონს, რომ ასე ამოქმედდა ფაკულტეტის სოციალური ქსელი და ქვეყნდება ფაკულტეტის ყველა სიახლე, რაც დიდი სტიმულის მომცემია. ამ კონფერენციამდე მე გავხდი გამარჯვებული კონფერენციაზე, რომელიც გურიის საგანმანათლებლო პოლიტიკას შეეხებოდა, თუმცა ამის შესახებ საჯაროდ ცნობილი არ გამხდარა", – დასძინა მაგდამ.

აბიტურიენტები უკვე რეგისტრირდებიან სასურველ უნივერსიტეტებში და სწორედ ამ პერიოდში მნიშვნელოვანია იმ სტუდენტების აზრი, რომლებიც აქ სწავლობენ და კარგად იცნობენ უნივერსიტეტს. ცხადია, სოციოლოგიის მიმართულების ერთი სტუდენტი ვერ აიღებს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას, რომ ისაუბროს სრულიად უნივერსიტეტის მასშტაბებზე, თუმცა იმ ფაკულტეტის მაგალითზე, რომელმაც დიდი გამოცდილება, ცოდნა, ურთიერთობები და თავდაჯერება შესძინა, მაგდა აბიტურიენტებს ურჩევს, რომ არჩევანი თსუ-ზე შეაჩერონ. „ჩემი აზრით, ისეთი ადამიანების გამო, რომლებიც ასწავლიან ჩვენთან, საშიში არაფერია, პირიქით, გაქვს ყველანაირი კომფორტი, რომ მიიღო განათლება და სწორი კუთხით განვითარდე", – გვითხრა მაგდამ და დასძინა, რომ სადაც არ უნდა მოხვდეს სწავლას მოწყურებული ადამიანი, მთავარია საკუთარი თავი აღმოაჩინოს, თსუ კი მათ დიდ მრავალფეროვნებას დაახვედრებს ამის მოსახერხებლად.

ᲜᲘᲜᲝ ᲯᲐᲜᲯᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სტუდენტი

ᲗᲘᲡᲣ-ᲓᲐᲜ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲓᲔᲜᲘᲡ ᲨᲐᲜᲡᲘ

23 წლის მეგი მურღულია მალე ორი უნივერსიტეტის – New Vision University (თბილისი)-ის და CEU – ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის (ვენა, ავსტრია) მაგისტრატურის კურსდამთავრებული იქნება. მეგიმ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი წარჩინებით დაამთავრა და ამჟამად New Vision University სწავლობს შედარებითი კერძო და საერთაშორისო სამართლის მაგისტრატურაში. გარდა ამისა, მან DAAD-ის სტიპენდია მიიღო და როგორც გაცვლითი პროგრამის სტუდენტმა სწავლა გააგრძელა ვილდაუს გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამაზე.

სექტემბრიდან LLM-ის გლობალური ბიზნეს სამართლისა და რეგულირების (LLM in Global business law and regulation) სწავლას გააგრძელებს CEU (ცენტრალურ ევროპის უნივერსიტეტში) 70 %-იანი დაფინანსებით და ყოველთვიური სტიპენდიით.

მეგი მურღულია თბილისში დაიბადა, მაგრამ წარმოშობით აფხაზეთიდანაა. ევროპული სკოლის დამთავრების შემდგომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩააბარა, რომელიც წარჩინებით დაამთავრა და სწავლა New Vision University-ში გააგრძელა.

„მე-11 კლასში გადავწყვიტე, რომ იურისტი გავმხდარიყავი, რათა სხვათა უფლებები დამეცვა. მას შემდეგ აღნიშნული გადაწყვეტილება არ შემიცვლია. ოჯახის წევრებიც იურისტები მყავს, მაგრამ ამას ჩემზე ზეგავლენა არ მოუხდენია. მიხარია, რომ ეს სფერო შემიყვარდა, რომ მე-11 კლასელი მეგის არჩევანმა გაამართლა და იმედები არ გაცრუებია..." – აღნიშნა მეგიმ, ვისთვისაც წარმატებებისკენ სავალი გზა მარტივი არ ყოფილა.

„რა თქმა უნდა, ეს გზა არ იყო მარტივი. დიდი დილემის წინაშე დავდექი მაშინ, როცა არჩევანი უნდა გამეკეთებინა – სად უნდა გამეგრძელებინა სწავლა სამაგისტრო პროგრამაზე.

მიუხედავად იმისა, რომ „ალმა მატერი" დღემდე ძალიან მიყვარს, გადავწყვიტე, რომ სწავლა ინგლისურ ენაზე გამეგრძელებინა. სწორედ ამიტომ ავირჩიე New Vision University. ამასთანავე, ბაკალავრიატში სწავლის პერიოდიდან მინდოდა გერმანიასა და ავსტრიაში მესწავლა. ამ სურვილის ასრულებაში კი New Vision University დამეხმარა, რომელმაც სასწავლებლად ვილდაუს გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში გაცვლითი პროგრამით გამიშვა.

კონკურსებს, გასაუბრებებს თან ახლდა პიროვნული დაბრკოლებებიც: გაუცხოება, ნოსტალგია, თვითდამკვიდრება, რასაც თითოეული სტუდენტი მშობლიური ადგილის დატოვებისას განიცდის..." – ამბობს მეგი, რომელიც ისეთი საქმიანობის ძიებაშია, რომელიც ხალხს სარგებელს მოუტანს, სამართლიანობას

ᲒᲐᲒ. 10

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲚᲘ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ

tsu.media

ᲗᲡᲣ-Ს ᲙᲣᲠᲡᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘ 100%-ᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘᲗ ᲡᲬᲐᲕᲚᲐᲡ ᲰᲐᲠᲕᲐᲠᲓᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲒᲐᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲡ

თსუ-ს კურსდამთავრებული მარიამ კუტუბიძე სწავლას ჰარვარდის უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე სრული დაფინანსებით გააგრძელებს. მარიმ სწავლის 100%-იან დაფინანსებასთან ერთად აშშ-ში უფასოდ ცხოვრების უფლება და სამსახურში დასაქმების შემოთავაზებაც მიიღო.

მარი კუტუბიძე მხოლოდ ჰარვარდის უნივერსიტეტის რჩეული არ გახლავთ, იგი მსოფლიოს პირველი ხუთეულის ყველა უნივერსიტეტმა: ჩიკაგოს, პენსილვანიის, ვაშინგტონის, სენტ ლუისის, კოლუმბიის, ნიუ-იორკის უნივერიტეტებმაც მიიღეს და, არა მარტო მიიღეს, სასწავლო გრანტები და სხვა სიკეთეებიც შესთავაზეს, მაგრამ მარი ირჩევს ჰარვარდს...

მარი კუტუბიძემ ჩოხატაურის პირველი საჯარო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გააგრძელა, სადაც იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატი და მაგისტრატურა დაამთავრა და ამჟამად მთავარი იურისტის პოზიციაზე მუშაობს.

„პროფესიის არჩევაზე დიდი გავლენა მოახდინა ჩემი ძმის – ლევანის გამოცდილებამ. როცა მე-8 კლასში ვსწავლობდი, ლევანი იურიდიული ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი იყო. ყოველთვის ვინტერესდებოდი მისი სახელმძღვანელოებით და პირველი, რომელიც წავიკითხე და დამამახსოვრდა, პროფესორ გიორგი ხუბუას „სამართლის თეორია“ იყო. შესაბამისად, თავიდანვე კარგად მქონდა გააზრებული ამ პროფესიის შინაარსი და ვიცნობდი სამართლის პრინციპებს.

უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ვცდილობდი ყველა საგნისთვის დამეთმო დრო და, შედეგად, სწორად შემერჩია ის მიმართულება, სადაც მუშაობას გავაგრძელებდი. ყოველთვის ვიღებდი მონაწილეობას სტუდენტურ კონფერენციებში. ბაკალავრიატის მეორე წლიდანვე აქტიურად ვიყავი ჩართული სტაჟირებებსა და პრაქტიკულ საქმიანობაში. ჩემი ერთ-ერთი პირველი მთავარი გამოცდილება „დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტში“ გავლილი სტაჟირება იყო

> ᲛᲐᲠᲘ ᲙᲣᲢᲣᲑᲘᲫᲔ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲰᲐᲠᲕᲐᲠᲓᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ, ᲘᲒᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲮᲣᲗᲔᲣᲚᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲛᲐ: ᲩᲘᲙᲐ�გᲝᲡ, �პᲔᲜᲡᲘᲚᲕᲐᲜᲘᲘᲡ, ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘᲡ, ᲡᲔᲜᲢ ᲚᲣᲘᲡᲘᲡ, ᲙᲝᲚᲣᲛᲑᲘᲘᲡ, ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲘᲢᲔᲢᲔᲑᲛᲐᲪ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ ᲓᲐ, ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ, ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ �გᲠᲐᲜᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲘᲙᲔᲗᲔᲔᲑᲘᲪ ᲨᲔᲡᲗᲐᲕᲐᲖᲔᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲠᲘ ᲘᲠᲩᲔᲕᲡ ᲰᲐᲠᲕᲐᲠᲓᲡ

სამართლის მეთოდების მიმართულებით. მას შემდეგ კი იურიდიულ ფირმებში გავდიოდი სტაჟირებებს“, – აცხადებს მარი კუტუბიძე.

მარი ამერიკის პრესტიჟულ უნივერსიტეტებში სწავლის გაგრძელების მსურველ თანატოლებს, პროფესიული გამოცდილების დაგროვების პარარელურად, ურჩევს საკუთარი თავის მრავალმხრივ განვითარებაზეც იზრუნონ.

„ვინც აპლიკაციის მომზადების პროცესს იცნობს, ზუსტად იცის, რამხელა მოთმინება და ყურადღებაა საჭირო ამ ეტაპზე. ჩემთვის მოტივაცია ის გამოცდილება და შესაძლებლობებია, რომელსაც ამერიკული განათლება გვთავაზობს. გარდა ამისა, ჩემი მთავარი მოტივაცია იყო და ყოველთვის იქნება გენდერული ბარიერების მოშლა, თანასწორობისა და სამართლიანობისთვის მუდმივი ბრძოლა. ეს მიღწევა კი ჩემთვის ამ გზაზე წინ გადადგმული დიდი ნაბიჯია, რომელმაც თავდაჯერება და მოტივაცია მისცა არაერთ სკოლის მოსწავლე გოგონას, რომელთა წერილებსაც დღემდე ვიღებ“, – ამბობს მარი და აკონკრეტებს – რა მოთხოვნები აქვთ ამერიკაში უმაღლეს სასწავლებლებს.

„ამერიკის უნივერსიტეტები, როგორც წესი, „ჰოლისტიკური მიდგომით“ აფასებენ სტუდენტებს. ეს გულისხმობს აპლიკანტის შერჩევას არა მხოლოდ პროფესიული მონაცემებით, არამედ მისი პიროვნების, ინტერესების, მიზნების საფუძველზე. აპლიკანტის სამუშაო გამოცდილებასთან ერთად, მნიშვნელოვანია მის მიერ განვლილი გზა და ის ინტერესები, რომელიც არ უკავშირება მაინცდამაინც პროფესიულ ცხოვრებას. ყველას ვურჩევ, მაქსიმალური თეორიული ცოდნისა და პროფესიული გამოცდილების დაგროვების პარალელურად, არ დაივიწყონ სპორტული, სამოქალაქო და სხვა საინტერესო აქტივობები, განვითარდნენ მრავალმხრივ და იპოვონ სხვადასხვა ჰობი, რომელიც განტვირთვაში დაეხმარებათ“, – აცხადებს მარი, რომელსაც იმედი აქვს, რომ ჰარვარდის უნივერსიტეტში მიეცემა დიდი პრაქტიკული გამოცდილების მიღების შესაძლებლობა, რომ სასწავლო წლის განმავლობაში გაიცნობს არაერთ წამყვან სპეციალისტს ამა თუ იმ სამართლებრივ სფეროში და მათ გამოცდილებას გაიზიარებს.

ზოგადად, ახალგაზრდები, ვინც უცხოეთში ასეთ პრესტიჟულ უნივერსიტეტს ამთავრებს, სამშობლოში ნაკლებად ბრუნდებიან... მარის აზრით კი, არ აქვს მნიშვნელობა – სად საქმიანობ, რადგან საზღვრებს გარეთაც შეგიძლია შენი ქვეყნისთვის უდიდესი წვლილის შეტანა. „ჩემი მიზანიც ესაა – ამერიკაში მიღებული ცოდნა ქართული სამართლის განვითარებას მოვახმარო. ამდენად, ვეცდები, ყველა შესაძლებლობა პრაქტიკული გამოცდილების დასაგროვებლად გამოვიყენო, რასაც ამ უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა შემაძლებინებს. ჩემი სამომავლო გეგმები მოიცავს ამ პროგრამის მეშვეობით მიღებული ცოდნისა და უნარების გამოყენებას, რათა წარმატებული კარიერა მქონდეს კორპორატიულ სამართალში. ვიმედოვნებ, მომეცემა შანსი, რომ ჩემი წვლილი შევიტანო ქართული სამართლებრივი სივრცის დახვეწაში“, – აცხადებს მარი, რომელიც მადლიერებასაც არ ივიწყებს იმ ადამიანების და ორგანიზაციების მიმართ, რომლებმაც რეკომენდაცია და ფასდაუდებელი რჩევები არ დაიშურეს ჰარვარდის რჩეულისთვის.

> ᲛᲐᲠᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲢᲘᲭᲣᲚ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲔᲑᲨᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ �გᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚ ᲗᲐᲜᲐᲢᲝᲚᲔᲑᲡ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲒᲠᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲐᲠᲔᲚᲣᲠᲐᲓ, ᲣᲠᲩᲔᲕᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲛᲮᲠᲘᲕ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲖᲔᲪ ᲘᲖᲠᲣᲜᲝᲜ.

ᲗᲡᲣ-ᲓᲐᲜ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲓᲔᲜᲘᲡ ᲨᲐᲜᲡᲘ

^ მე-9 გვ-დან

და კანონის უზენაესობას დაამკვიდრებს. მეგი საზღვარგარეთ სწავლის მოსურნე თანატოლებს საჭირო რჩევებს უზიარებს პირადი გამოცდილებიდან.

„პირველ რიგში, ვურჩევ, რომ, უნივერსიტეტში სწავლასთან ერთად, პირადი CV-ის გამდიდრებაზეც იზრუნონ. სხვადასხვა აქტივობით, კონფერენციებში მონაწილეობით დაკავდნენ და სამუშაო გამოცდილებაც დააგროვონ, რადგან აღნიშნულს საზღვარგარეთ დიდი ყურადღება ექცევა. ასევე ვურჩევ პიროვნულად გაზარდონ საკუთარი თავი და მაქსიმალურად დამოუკიდებლები გახდნენ, რათა შემდგომში მარტო ცხოვრება და დაბრკოლებების გადალახვა არ გაუჭირდეთ. ბოლოს კი ვურჩევ, რომ მაქსიმალურად გამოიყენონ დაფინანსების და საზღვარგარეთ წასვლის ყველა შესაძლებლობა, მათ შორის, ერასმუსის გაცვლითი პროგრამა, რომლის საშუალებით სტუდენტები საზღვარგარეთის პრესტიჟულ უნივერსიტეტებში აგრძელებენ სწავლას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიც ჩართულია ამ პროგრამაში და შანსს გაძლევს ოცნება რეალობად აქციო“, – ამბობს მეგი, რომელიც მადლიერია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გატარებული წლებით, აქ მიღებული ცოდნითა და განათლებით.

„ცოდნასთან ერთად აქ ისეთი ადამიანები შევიძინე, რომლებიც ცხოვრების ბოლომდე გამყვებიან. რაც მთავარია, ამ კედლებში გავიზარდე პიროვნულად და აქ ვისწავლე სირთულეებთან გამკლავება.

გერმანიაში სწავლის შემდგომ უფრო მეტად დავაფასე თსუ-ში მიღებული განათლება. აქაური გადმოსახედიდან, რა თქმა უნდა, ვისურვებდი თსუ-ს უკეთესობისკენ შეცვლას, სტუდენტებისთვის პრაქტიკული გამოცდილების მისაღებად უფრო მეტი შესაძლებლობის მიცემას და, რაც მთავარია, თსუ-ს სტუდენტებისთვის უფრო მეტ წვდომას და შანსს საზღვარგარეთის პრესტიჟულ უნივერსიტეტებში სწავლის გასაგრძელებლად“, – აცხადებს მეგი, რომლის ყველა მიზანი და გეგმა საბოლოოდ მაინც საქართველოს უკავშირდება. „მინდა, რომ უცხოეთში მიღებული ცოდნით თუ სამუშაო გამოცდილებით საქართველოში მეტად განვავითარო ისეთი დეფიციტური სფერო, როგორიც არის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალება – არბიტრაჟი“, – ამბობს მეგი მურღულია, რომელიც საკუთარ თავს წლების შემდგომ ისევ ამ სფეროში ხედავს და, რაც ყველაზე მთავარია, აქ – საქართველოში.